მეორე წელიწადი | ფასი 5 კაპ. | პარასკევი, 21 მაისი 1916 წ. | № 112

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილით 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი [illegible] ათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ. დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

მწუხარებით გულდამწვარნი: თ-დი შოთა იასონის ძე გელოვანი, მეუღლე მისი კნ. ელენე ფარსადანის ასული გელოვანისა, გუგულა და ზინა ასლან კვიტაშვილის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს გარდაცვალებას თბილისში, მძიმე და ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ პირველი—უსაყვარლესი დის, მეორე მულის და მესამენი—უძვირფასესი დეიდის

**ბაბო** იასონ გელოვანის ასულის **ნიჟარაძისას**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 ს., განსვენებულის ბინაზე (გუნიბის ქუჩა, სახლი № 8. მიცვალებულს სამშობლოში წაასვენებენ კვირას, 22 მაისს. გამოსვენება: ბინიდან თბილისის სადგურზე საღამოს 5 საათზე, ხოლო თბილისის სადგურიდან ქუთაისისაკენ საღამოს 10 საათ. 33 წ. ქუთაისიდან ლეჩხუმში გასვენება მოხდება ორშაბათს 23 მაისს დღის 12 საათ. მექვენაში ღამის გათევის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ახალჭალას, სადაც დაკრძალულ იქნება გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს დღის 12 საათზე. (2—191—1)

დ. ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებლები გულ დათუთქულნი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და დაუვიწყარ თანამოსამსახურის, ამხანაგის

**მიხეილ პიმენის-ძე რატიანის**

ტრაღიკულ გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—190—1)

## „ახალი კლუბის" ბაღში

კვირას, 22 მაისს, 1916 წელს,

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება**

# დიდი სახალხო სეირნობა

## ლატარია ალეგრით

(წმ. შემოსავლის 10% გადაიდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონისათვის)

გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, ყვავილები ფოსტა, რგოლების სროლა, ტუმბო და სხვა. საბავშვო გასართობები, კიოსკები წიგნებისა, სეირნობის დროს დაუკრავს ორკესტრი და საზანდარი.

**დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე.**

შესასვლელი ფასი დიდებისათვის 40 კაპ. პატარებისათვის და მოწაფეთათვის 25 კაპ. 3—98—1

**კვირას, 22 მაისს, ქართულ კულტ. მოყვარ. საზოგადოების თაოსნობით პატივსაცემლად განმეორდება**

## შიო მღვიმელის

# საბავშვო დილა

იმავე პროგრამით, როგორითაც გაიმართა 14 თებერვალს სახაზინო თეატრში ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში.

(100) **ფასები ჩვეულებრივია.**

## ახალი კლუბი

კვირას, 22 მაისს

**ქრისტეფორე (ქიტო) კაკაბაძე**

ქართულად წაიკითხავს **ლექციას** „ისტორია საქართველოს-

# ავტოკეფალურ ეკლესიისა"

**დასაწყისი შუადღის 12 ნახევარ საათზე**

ბილეთები იყიდება „საქართველოს" რედაქციაში, 10—2 საათამდე, ხოლო ლექციის დღეს ახალ კლუბის შესავალთან, დილის 10 საათიდან.

**ბილეთის ფასი 50 კ.-დან 3 მანეთამდე** გამგე **სანდრო შანშიაშვილი**

## სამეურნეო ამხანაგობა

# „ანკარას" გამგეობა

იწვევს წევრებს 22 მაისისათვის **საზოგადო კრებაზე** შუადღის 12 საათზე (გონჩარნი ქუჩა № 32. **კრების საგანია:** ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, თავმჯდომარის და გამგეობის წევრთა არჩევა, საწევრო ფულის შევსება და მომავალი მოქმედების გარკვევა. (1—101—1)

ღვინის საწყობი

# ნიკო გ. სესიაშვილისა

**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**

# კახური ღვინო

**განოვის ქუჩა № 4.**

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

## გამოვიდა გაზ. „საქართველოს" პრემია

# მერანი

**წიგნი I.**

**გაზ. „საქართველოს" თბილისის წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიათ მიიღონ რედაქციაში, მოსკოვის ქუჩა № 4. პროვინციის წლიურ ხელის მომწერთ პრემია გაეგზავნებათ ხარჯის ფასდადებით.**

**ცალკე გასასყიდად „მერანი" ღირს 2 მანეთი.**

## კრებულში მოთავსებულია:

1. **სანდრო შანშიაშვილი**—სალამური.
2. **ი. გრიშაშვილი**—რა კარგი ხარ...
3. **კ. მაყაშვილი**—სიკვდილ სიცოცხლის ცეკვა.
4. **ინ-ბანი**—ცხოვრების მგზავრი. ქართველი მზეო. გრძნეული ჩანგი. მზიელა.
5. **ხ. შანშიაშვილი**—ბერდო ზმანია.
6. **შიო მღვიმელი**—მუდამ სიცოცხლი.
7. **გ. რუხაძე**—ამონაკვნესი, ვნახე ქალი.
8. **გ. ქუჩიშვილი**—ღამე ნატეხი, მერცხლები, ღელვა.
9. **ლეო ქიაჩელი**—მუხა და ტირიფი.
10. **დ. კასრაძე**—ღვირღვა.
11. **ალ. ყაზბეგი**—დარო.
12. **ტრ. რამიშვილი**—ჭკუა მხიარული.
13. **დიმიტრი არაყიშვილი**—თავისუფალი მარში (ნოტებზე).

**წიგნი დახურათებულია მხატვარ ვალიკო ხიდაშელ-ერისთავის მიერ.**

წიგნში ჩართული 4 სურათი სიპ ქაღალდზე და 16 სურათი ტექსტში.

საუკეთესო კახური

# ღვინის საწყობი

## ადამ ზურაბის ძის

# ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

# ვაგზლის სამკურნალოში

**(შიხინოკის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**

## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე. (თ.—126— )

# შეშის საწყობი

## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზე**

# საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილმა

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

**ექიმი-დოსტაქარი**

## ვ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

ექიმი

## ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**დ. ზესტაფონში**

ექიმი

## დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

**ტელეფონი, 17—21.**

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, **ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.**

# სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.

**წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან.** (14—174—4)

# წაღვერში

**სადგურის მახლობლად, საუცხოვო ადგილას მჟავე წყლის ახლოს,**

## ხაჩიძის აგარაკში

მშვენიერ შენობის ზემო სართულში ვიყვან პანსიონერებს მეტად შეღავათიან პირობებით.

10—101—1 პანსიონის გამგე **მარიამ ჟვანია.**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 18 მაისი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** ტბის მიდამოების სამხრეთით დვინსკიდან მტრის არტილერიამ სხვა და სხვა ადგილებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გააჩაღა. მთელ ბრძოლის ხაზზე მტრის მფრინავები ზვერვას განაგრძობენ. ჩვენი მფრინავი შეებრძოლა გერმანეთის „ალბატროსს", რომელიც ბარანოვიჩის ჩრდილოეთ-დასავლეთით ჩამოვარდა.

**კავკასიის ასპარეზი.** დიარბექირის მიმართულებით 15 მაისს ოსმალებმა ომნათის მხრიდან ხირხაბაზარ-ყარგაბაზარის ხაზით შეუტია და განირეტი დაიპყრო. ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა და მტერი თხრილებიდან განდევნა.

**პეტროგრადი, 19 მაისი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე თოფის და საარტილერიო სროლაა. ჩვენი ჰაერის ორი ესკადრა მტერს თავს დაესხა. ერთმა მფრინავმა სოლის მიდამოებს დაუშინა, სმორგონის ჩრდილო-დასავლეთით, მეორემ—14 მფრინავიდან სადგურ განევიჩს, სარნა-კოველის რკინის გზაზე პირველად ჩამოაგდო 48 ყუმბარა, მეორეთ 66. მფრინავები ყველანი მშვიდობით დაბრუნდნენ.

**შავი ზღვა.** ჩვენმა წყალქვეშამ ხუთი ხომალდი დალუპა და ერთიც სევასტოპოლში მოიყვანა.

**კავკასიის ასპარეზი.** 17 მაისს, ბაიბურთის მიმართულებით მტერმა ძლიერი ძალით სამი იერიში მოიტანა ერთს ჩვენ ადგილზე, მაგრამ იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. მეორეს მხრივ მტრის გაძლიერებულმა ჯარმა, მამახათუნთან ჩვენ წინ წაწეულ ადგილებს გარ შემორტყმა დაუპირა. მამახათუნი ჩვენმა ჯარმა დასტოვა მის შემდეგ, როდესაც ხიდი ავაფეთქეთ. დიარბექირის მიმართულებით ოსმალთა ჯარმა და ქურთების ცხენოსნებმა იერიში მოიტანეს, რომელიც მოგერიებულ იქმნა.

—

**პარიზი,** 18 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე მორტჰომ-მაასის შუა მკაცრი ბრძოლაა. გერმანელებმა არა ჩვეულებრივი სროლის შემდეგ, რომელიც ორი დღე გრძელდებოდა, ძლიერად შეჯგუფებული ჯარი მორტჰომის აღმოსავლეთით, სოფ. კიუმიერზე იერიშები მიიტანა. მტერი აქ ძლიერ დაზარალდა, თუმცა კორეტის ტყის სამხრეთით ფრანგებმა უკან დაიხიეს პირველი წყების თხრილებიდან, რადგანაც აქ სიმაგრეები მიწასთან იქმნა გათანასწორებული. კიუმერის სამხრეთით გერმანელებმა იერიშები ორი მხრით მიიტანეს. მტერმა პირველ ხანობაში ფრანგები უკან დასწია, თუმცა შემდეგ კონტრ-იერიშით განდევნილ იქმნა. მტრის რამდენიმე რაზმი, რომელმაც ბურუსით ისარგებლა და წინ წაიწია მაასის სადგურისაკენ, ჩვენ ყუმბარების სროლით მოვსპეთ. მდინარის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლაა. ზემო ელზასში, საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ფრანგთა სიმაგრეებზე იერიში მიიტანეს, საიდანაც მალე განვდევნეთ.

**პარიზი,** 18 მაისი. საღამოს ოფიციალი. მაასის მარცხენა ნაპირზე მოპირდაპირემ ცეცხლი გაუჩინა ავოკურის და „304" სიმაღლის მიდამოებს. დაჟინებითი იერიშის შემდეგ მორტჰომის სამხრეთ-დასავლეთით სანგრები დავიჭირეთ და 220 კაცი დავატყვევეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე, მაასის და ვოს შუა ორივე მხარის არტილერია მოქმედობდა. ჩვენი არტილერია მედგრად ესროდა მტრის ჯგუფებს, ფოსის ტყის ჩრდილოეთით. სროლამ დაჟინებითი ხასიათი მიიღო მეტცერალის და ჰარტმონ-სვეილერკოფის აღმოსავლეთის მიდამოებში.

**ჰავრი,** 18 მაისი. ბელგეთის ოფიციალი ცნობა. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილზე საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი** 19 მაისი. დღის ოფიციალი. მაასის მარჯვენა ნაპირზე არტილერია მხნედ მოქმედობდა. მორტჰომის მიდამოებში გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ. დუომონთან სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. წინა ღამით ფრანგთა მფრინავებმა ტიონვილზედ 20 და ანდენლერომონზედ 50 ყუმბარა ჩამოყარეს.

**რომი,** შტაბის ცნობა. ლედროს ჩრდილოეთით და რივას მიდამოებში მოპირდაპირე საალყო სიმაგრეებს ამრავლებს. ლაგორინის ველებში მტერმა საშინელი იერიშით წამოიწია, მაგრამ მოვიგერიეთ. პასუბიოს უბანში საარტილერიო ბრძოლაა. ფორნიეტალის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოზინოს და ზემო ასტიკოს შუა ომი გრძელდება. გუშინ კამპილიის მიდამოებში მტერი უკუვაქციეთ. კარნიაში და იზონცოში საარტილერიო ბრძოლაა, განსაკუთრებით სან-მარტინის მიდამოებში. იტალიელებმა დასცალეს პრიაფორის სიმაგრეები და ესიაგოს მაღლობებზედ კორბინის ადგილი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მესოპოტამიის ასპარეზი.**

„პრავიტ. ვესტნ."-კი სწერს: მცირე აზიის ბრძოლის ხაზით მოსულის მიმართულებით დიდი ბრძოლაა. მის შემდეგ, რაც ოსმალებმა 11 მაისს რევანდუზზე უნაყოფო იერიშები მიიტანეს, ოსმალებმა შესცვალეს მიმართულება და სერდეშედის სამხრეთით დაიწყეს იერიშები, იმ განზრახვით რომ გარს შემოერტყან სამ-

ხრეთით მდინარე ზაბელის და პატარა ზავის მიდამოებში და სერდეშტ-სოუჯ-ბულაკის გზები საფრთხეში ჩაგდოს. ურმიის ტბის სამხრეთით მათი იერიშები ხიშტებით და კონტრ-იერიშებით იქმნა მოგერებული. მეორე დღეს ოსმალებმა რევანდუზ-დერგალის ხაზით ძლიერი ძალით იერიშების მოტანა დაიწყეს, მაგრამ რუსებმა მოიგერიეს. რევანდუზასთან ბრძოლამ 15 მაისს მკაცრი ხასიათი მიიღო. რევანდუზი და სერდეშტი ერთი ერთმანეთისგან ასი ვერსით არის დაშორებული და ურმიის ტბას და ტიგროს-მოსულის მიდამოებს მხოლოდ ურმიის გზები აერთებს. ოსმალთა შეტევას სერდეშტში ის მიზანი აქვს, რომ რუსის ჯარი, როგორმე ურმიის ტბისაკენ დასწიოს. სწორეთ ამის გამო ოსმალები ამ ადგილებში ახალ ძალას უყრიან თავს და რუსეთის შეტევას მოსულისაკენ ხელს უშლიან. ბაღდადის მიმართულებით ხანცკინიდან ბაღდადისაკენ ოსმალთა მოქმედებას მოგერიებითი ხასიათი აქვს. ერთი სიტყვით მესოპოტამიის ასპარეზი დიდ მნიშვნელობას იღებს და ადვილი მოსალოდნელია აქ დიდი ამბავი დატრიალდეს.

### კავკასიის ასპარეზზე

გაზ. „Dailu Maile“-ს სიტყვით, გერმანელი ინჟინრები ბაღდადს ამაგრებენ. გერმანელებს კავკასიის ასპარეზზე სამხედრო სურსათი, მძიმე არტილერია და ჯარი გამოუგზავნიათ, რომელიც მოკლე ხანში დაიწყობს მოქმედებას.

### გერმანეთი და მისი მოკავშირენი

„ნოვ. ვრ.-ს ატყობინებენ: დღეს სტამბოლში 20,000 გერმანელი მეომარი, 8.000 ავსტრიელი და 4.000 ბულგარელი იმყოფება. ოსმალთა რიცხვი სტამბოლში მეტად შემცირებულია, რადგანაც მთელი არმია ოსმალეთისა, დღეს მცირე აზიაშია. თვით სტამბოლი და მისი მიდამოების სიმაგრეები უცხოელების ხელშია. თუ „Inpedendence Roumaine“-ს ცნობას დავუჯერებთ, მაკედონიაში 33 ათასი გერმანელია, ამ რიცხვში კიდევ არ შედის რამდენიმე ათასი, გერმანელი რომელიც ბულგარეთის სხვა და სხვა ქალაქებშია გაბნეული. ავსტრიელებიც ბლომა ჯარს აშველებენ თავის მოკავშირეებს და დღეს ალბანეთში 400 ათასი ავსტრიელია დაბანდებული.

### სალონიკის ასპარეზზე.

ბუქარესტიდან მოსულის ცნობით, სალონიკის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ბულგარელებმა განაცხადეს: „დიდი ხანია, რაც მოკავშირენი ამოქმედდნენ ჩვენს წინაამდეგ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს“. მოკავშირეთა ძალები განაწილებულია დოკატეპეს აღმოსავლეთით, სტრუმიცის ველებისკენ, სუბასტის დასავლეთით—ფლორინამდე. ჰევგელ-დოირანის ხაზზე ბრძოლაა.

### ჰოლანდიის პროტესტი

როგორც ჰაგიდან იუწყება „ნოვ. ვრ.“-ს საკუთარი კორესპონდენტი, ამსტერდამის საზღვაო საბჭომ დაადასტურა, რომ მისი გემი: „Berhelstoon“-ი უკანონოდ არის დაღუპული გერმანელების წყალქვეშასაგან. ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გერმანეთის მთავრობას გულისწყრომის წერილი გაუგზავნა.

### ა ბ ა შ ე თ ი

დღევანდელ პირობებში--აბაშეთის ნეიტრალიტეტის საკითხს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. აბაშეთს გარს შემორტყმია ფრანგთა, იტალიელ-ინგლისელთა ახალშენები და თუ მან მოისურვა ახალშენებს დიდ ზარალს მიაყენებს.

გავიხსენოთ იტალიის ომი არაბებთან. ამაყმა იტალიელებმა ქედი ვერ მოახრევინეს მამაც აბაშელებს და ადუასთან სასტიკად დამარცხდნენ. აბაშელებთან საქმის დაჭერა ასე ადვილი არ არის, რადგანაც მათ გაწვრთვნილი ჯარი ჰყავთ და ადგილ მდებარეობაც ხელს უწყობს. გერმანეთი სცდილობს თავისკენ გადიბიროს აბაშეთი, ამისთვის მრავალი მოხელეებიც გაუგზავნია იქ ნიადაგის მოსამზადებლად. თქვენ აქ შეხვდებით სხვა და სხვა ჯურის მოხელეს, რომელთაც საკმაო ნდობა დაიმსახურეს არა მარტო ხალხში, თვით უმაღლეს წრეებშიაც. ჯერ კიდევ როცა იტალია არ ჩარეულიყო საერთაშორისო ომში, შორს გამჭვრეტელმა გერმანეთის მთავრობამ აბაშეთში ექსპედიცია გაგზავნა. მიზეზად ადგილობრივი ბუნების შესწავლა მოიგონა და მოგზაურებად შტაბის აფიცრები დანიშნა. (თანვე წაიღეს ერთი მილიონი ფრანკი) მიუხედავად ფრანგ-ინგლისელთა სიფხიზლისა, ექ[...]ედიციამ მშვიდად გ[...] მეწამულ[...] ერისტეის ნაპირებით და აბაშ[...] მშვიდობიანად [...]

### ბულგარელები საბერძნეთის მიწა-წყალზე.

როგორც ვიცით ბულგარელები საბერძნეთში შეიჭრნენ და რუპელის ფორტს მიუახლოვდნენ. საბერძნეთის ჯარი მცირე რიცხვს წარმოადგენდა, რის გამოც ბერძნებმა დემირ-გისახისაკენ დაიხიეს. ამგვარად ბულგარელებმა ხელთ იგდეს რუპელი. რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. რუპელი 6 ვერსის მანძილზე მდებარეობს დემირ-გისარიდან, რომელიც ახლო-მახლო მიდამოებს თავს დასცქერის. სწორედ ამ ადგილებში მოხდა საბერძნეთ-ბულგარელების ბრძოლა, საიდანაც ბულგარელნი გამარჯვებულნი გამოვიდნენ. რუპელის ხელში ჩაგდების შემდეგ, ბულგარელები უბრძოლველად გადავიდენ საბერძნეთის მიწა-წყალზე.

ამ ამბების გამო საბერძნეთის სამინისტროს ხანგრძლივი კრება შესდგა, რომელზედაც მთავარ შტაბის უმფროსი დუსმანისა და პოლკოვნიკი და მეტაკსასა დაესწრო. კრებაზე გარდასწყდა, საბერძნეთის ჯარი უკან დასწიონ, რადგანაც მაკედონიაში სასტიკი ბრძოლაა მოსალოდნელი.

### გერმანეთი ომის შესახებ.

ოსმალეთის ოფიციოზმა შეხცვალაკილო და საქვეყნოდ აცხადებს, რომ ომის ბოლო ჯერ არ მოსჩანს და ზავზე ლაპარაკი მეტია. ომი სულ ცოტა ერთი წელიწადი კიდევ გაგრძელდება.

### ირლანდია.

ლონდონიდან მოსული ცნობით ვგებულობთ, რომ დუბლინში მომხდარი ამბავის შემდეგ, ირლანდიაში კვლავ უკმაყოფილება და მღელვარებაა. ამის გამო ირლანდიაში სამხედრო წესები გამოცხადდა, რომელსაც ახალ განკარგულებამდე ძალა ექნება.

### ვერდენთან.

როგორც გაზ. „Times“-ის თანამშრომელი იუწყება, ვერდენი სულმთლად დაცარიელებულია. გერმანელები ვერდენს კვლავ მედგრად უშენენ ზარბაზნებს განსაკუთრებით კლერმონიდან მომავალ გზით. დღე-ღამის განმავლობაში 800—1000 ტყვია-ყუმბარას ხარჯავენ, მაგრამ მიზანს ჯერ-ჯერობით ვერ აღწევენ.

### დემირსაჰირი.

„რუსკოე სლოვოს“ ცნობით, დემირსაჰირის მიდამოებში გერმანელთა რაოდენობა 35000 აღწევს. მათ გერმანელი აფიცრები ავარჯიშებენ. ბერძენთა მოსახლეობა თავზარ დაცემული გარბის გასახიზნად. ამბობენ: ბულგარელებმა ქსონტეში 25000 ჯარისკაცს მოუყარეს თავი. დემირსაჰირის სექტორის დასაცავად, რუპელის ფორტი ციხე-სიმაგრედ არის გადაქცეული. საერთოდ დემირსაჰირს დიდი სტრატეგული მნიშვნელობა ეძლევა...

## ბრძოლის ველზე

### კავკასიის ასპარეზი

საქმე ისაა, რომ აქნობამდე მათი ძალები მდ. ეფრატით გაყოფილი იყო და თითქმის ერთმანეთის დამოუკიდებლივ აწარმოებდნენ ამ მძიმე ოპერაციას. მეტად ძნელი იყო ძლევამოსილ მხედრ[...] შეჩერება და თუ დღეს ოსმალებ[...] უხერხებიათ არა თუ შეჩერება, ესოდენ მნიშვნელოვანი პუნქტის აღება, სჩანს, მაშველი ჯარები და იარაღიც მოსვლიათ ბლომად. რომ სწორედ ერზინჯანით მოსალოდნელი იყო საფრთხე, ეს აშკარა შეიქმნა ამ ორი თვის წინად, როცა პირველად მთავარმა შტაბმა ახსენა, რომ ამ მიმართულებით ოსმალებმა ცრემლის მომგვრელი ყუმბარები მოიხმარესო. შემდეგ დიდ ბრძოლებს აღნიშნავდნენ აშკალა-ბაიბურთის მიმართულებით. დანიშნულება ამ ოპერაციისა იმაში მდგომარეობდა, რომ ტრაპიზონის ჯარებისა და აზრუმის მხედრობისთვის საშუალება არ მიეცათ შეერთებისა. ეს მოახერხეს ოსმალებმა. რუსთა ძალები გაყოფილია და დღემდე არა თუ შეერთება ვერ მოახერხეს, არამედ უფრო დაშორდნენ კიდეც. აი, სწორედ ეს გარემოება იყო მთავარი მიზეზი, რომ რუსის სამხედრო მიმომხილველებმა მცირეოდენის ნობოდიშებით შუმსკისა და მიხაილოვსკის პირით განაცხადეს, რომ ამ მიმართულებით მოგერებით ტაქტიკას ვადგივართ და მთავარს ოპერაციებს ბაღდადისკენ ვაწარმოებთო.

ბაღდადის მიმართულებით რამდენად კეთილად მიდის საქმე ჯერ გამოურკვეველია. ეს კი აშკარაა, რომ რევანდუზას აღების შემდეგ მთავარმა შტაბმა ცნობა მოგვცა, ოსმალთა ახალი ძალები გადაგველობნენ და ჩვენი წინსვლა შეაჩერესო. მას აქეთ წინსვლა არაფრით აღნიშნულა. საყურადღებოა ისიც, რომ დიარბექირისა და მოსულის მხრითაც ისევ ოსმალებს მოაქვთ იერიშები. ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ ოსმალთ ფართო ინიციატივა იგდეს ხელთ და ამისთვის საკმაოდ შესწევთ ძალ-ღონე.

ბარათოვისა და ინგლისელთა ჯარების შეერთება როგორღაც მითიურ სახეს იღებს. ოფიციალი უწყებები სდუმნან ამ შეერთებულ ჯართა თანხმობით მოქმედობაზე. სჩანს, თუ მსგავსი რამ მოხდა, მოხდა მხოლოდ დიდად დაშორებულ მოწინავე ცხენოსანთა რაზმებს შუა, რასაც სტრატეგიისთვის მაინც არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთავარი ძალებით ერთი დროშის ქვეშ არ დადგებიან.

რაც შეეხება ვერდენს, აქაც უმაგალითო ომებს განაგრძობენ. გერმანელთ ვიდრე შესამჩნევი წარმატება ერგოთ. მორტჰომის რაიონში და კიუმიერის მიმართულებით მნიშვნელოვანი პოზიციები იგდეს ხელთ.

X.

## „საქართველოს“ დღევანდელს ნომერში 24 გვერდია. გაზეთთან ურიგდება სია თბილისის სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებულ, საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნულ მამულებისა.

### თბილისი, 21 მაისი.

საკუთარი დაუდევრობის და მოუმზადებლობის დანაშაული ბათომის რაიონის სამხედრო ხელმწიფებამ აჭარლებს თავს მოახვია. აჭარლების ღალატს მიაწერეს რუსის რაზმების პირველი დამარცხება. და რამოდენიმე ასი ქართველი-მაჰმადიანი ერთის მოსმით ციხეში ჩაჰყარეს და სახელმწიფოს ღალატისთვის პასუხისგებაში მისცეს. ეს უფრო სარფა იყო იმ ხანებში. მას აქეთ საგანგებო გამოძიებამ ცხად ჰყო, რომ აჭარაში არავითარი ღალატი არ ყოფილა. აქ მეფის ნაცვალმა, იქ თვით ხელმწიფე იმპერატორმა ეს ბრალდება მოხსნეს უდანაშაულო ხალხს. ამის შემდეგ აბა რა ბრალდება უნდა წამოეყენებინათ ამ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ციხეს მხოლოდ იმიტომ მოჰყვა, რომ გამოესყიდნა სხვისი დანაშაული იმ საერთო არევ-დარევისა და უბედურობის დროს, რომელიც მაჰმადიან ქართველებს ეწვია, რომ შეუძლებელი იყო თითეული დაპატიმრებულის წინააღმდეგ მკაფიოდ განსაზღვრული ბრალდება წამოეყენებინათ. ასეთი საბუთი მაშინ არც ერთის წინააღმდეგ არც ყოფილა შედგენილი. ასეთ პირობებში დროთა ვითარების განმავლობაში ათასი ბოროტმოქმედება და ცრუ ბრალდება შეიძლებოდა შეთხზულიყო და სრულიად უდანაშაულო კაცი სახრჩობელაზედ აეყვანათ. და რადგანაც ერთი უდანაშაულოს სიკვდილს ათასი დამნაშავის განთავისუფლებაც ვერ გამოისყიდოს, ამიტომაც ერთად ერთი სამართლიანი განკარგულება ის იქნებოდა, რომ სრულიად მოსპობილიყო საწყალი და უდანაშაულო ხალხის უმართებულო ტანჯვა და დევნა. განუკითხავად და ჯოგ-ჯოგად დაჭერილი ხალხი უნდა ერთბაშად განთავისუფლებინათ. ამას მოითხოვდა მიუდგომელი სამართალი. მაგრამ ასე არ მოხდა. მიუხედავად კეთილ-გონიერების ყოველივე სამართლიანი მოთხოვნისა, აჭარლებს მაინც ასამართლებენ, მაინც ამტყუნებენ, მაინც სიკვდილით სჯიან. დღეს ყველაფერი შესაძლებელი აღმოჩნდა. წელიწადნახევრის შემდეგ, რაც აჭარლები ციხეში ლპებიან, დაინტერესებული მოწმეებიც ბლომად გამოჩნდენ უდანაშაულოთა გასამტყუნებლად. წელიწადნახევრის შემდეგ ისიც შესაძლებელი გახდა, რომ აშკარად და ცხადად მაჰმადიან ქართველების სამტროდ მომქმედის ერთი—ორის უცხო ტომელის ჩვენებას მეტის ნდობით მოპყრობოდენ, ვიდრე თვით მთავრობის მოხელეთა ჩვენებას. ასეთ პირობებში, გასაკვირი არ უნდა იყოს რომ სამართალმა ვერ ისამართლოს.

რაც დრო გადის სასამართლო მეტ მოუთმენლობას, ნერვიულობას და სისასტიკეს იჩენს აჭარლებისადმი. ჩვენ ამის უტყუარი საბუთები გვაქვს. უკანასკნელი პროცესი ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა. სასამართლომ 43 კაცს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა სახელმწიფო ღალატისათვის. სასამართლოს კარები დაკეტილი იყო და ხალხს საშვალება არ ჰქონდა გასამართლებისთვის თვალყური ედევნა· ხოლო ის ამბები რომელიც დაკეტილ კედლებიდან მოდის, მეტად აღმაშფოთებელია და ამაღელვებელი.

## დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

ასკვიტმა განაცხადა თემთა პალატაში, რომ მთავრობა მზად არის დააკმაყოფილოს ირლანდიელების მოთხოვნა საკამათო საკითხები შეთანხმებით გაირჩეს და გადაწყდეს, შუამავლად ერთხმად აირჩიეს ლოიდ ჯორჯი.

—

ავსტრიელები ოფიციალად აცხადებენ იტალიის ფრონტზე შეტევის შეჩერების ამბავს.

—

ენვერ ფაშა ბაღდადში ჩამოვიდა და პირადად შეუდგება ბრძოლის ხელმძღვანელობას.

—

ვილჰელმი ელგორპში (?) ტრამვაით მოგზაურობდა თავის ამალით სხვა მგზავრებთან ერთად. ბილეთის ფულს უბრალო მგზავრივით იხდიდა.

—

უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა პოლკოვნიკი ასათიანის პროექტი, რომ ზაფხულობით ჩექმების მაგივრად ჯარისკაცებს ქართული ქალამნები ჩააცვან. საინტენდანტო ითხოვს რომ ყველა ფრონტიდან პოლკოვნიკ ასათიანს გამოუგზავნონ ქართველი სალდათები, რომელთაც იციან ქალამნების ჰკერვა.

—

ვეშაპელის დეპეშის გამო, თითქოს ჩვენში დასავლეთ გუბერნიების ერობის შემოღება განეზრახოთ, პირადად შეუდექი ცნობების შეკრებას. სარწმუნოდ გავიგე, რომ სამინისტროში ამის თაობაზე არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა და არც იქნება მილიუტინის მომავალ მოხსენებამდე. ვეშაპელის დეპეშა ამ შემთხვევაში ალბად მოსკოვის გაზეთებს ემყარება, რომლებსაც ცნობას აწვდიან განსაზღვრული პოლიტიკის შემქნელი სოთხები. პეტროგრადის პრესაში-კი ამის თაობაზე არაფერი თქმულა.

—

გერმანელების და ბულგარელების ჯარი საბერძნეთის მიწა-წყალზე შეიჭრა. გადასჭრეს სალონიკსა და კავალაზე მიმავალი გზა. ამის გამო ათინაში არეულობაა. საბერძნეთის ჯარი მოსწყდა თავის მთავარ შტაბს. ბულგარელთა ჯარი დემირ-გისარს მიუახლოვდა. ქსანტის რაიონში 25000 ბულგარელი სდგას.

—

გერმანიის მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიერა საგანგებო ზომები, რომელთა შემწეობით სურსათის საკითხი უნდა მოწესრიგდეს. სასურსათო კომისიის წევრს სოციალ-დემოკრატს მილლერს დიქტატორის უფლებები მიანიჭეს.

ასკვიტმა ინგლისის პარლამენტში შეიტანა წინადადება დაუყონებლივ განხორციელებულ იქმნას ირლანდიის თვითმართველობის საკითხი.

—

ფელდმარშალმა მაკენზენმა კონსტანტინოპოლში ითათბირა სულთანთან და სანდერსთან. თათბირმა გადასწყვიტა კონსტანტინოპოლის გარნიზონის ჯარი მიაშველონ მესოპოტამიის არმიას, რომელსაც დიდი საფრთხე მოელის რუსეთისა ჴ ინგლისელების შეერთების შემდეგ. როგორც ცნობილია ამ გარნიზონში დიდძალი გერმანელებიც არიან. მათ ადგილს კონსტანოპოლში ბულგარელები დაიჭერენ. თვით ფელდმარშალი, მაკენზენი ბაღდადს გაემგზავრა, რათა ოსმალეთის არმიას უხელმძღვანელოს.

ლ. ჯ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე ტბის სამხრეთ მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა.

—

შავ ზღვაზე რუსეთის წყალქვეშამ 5 იალქნიანი გემი ჩასძირა, ერთიც სევასტოპოლში მოიყვანეს.

—

რუსებმა მამახათუნი დასტოვეს. იგი ოსმალების ხელში გადავიდა.

—

ვერდენის ასპარეზზე კვლავ მკაცრი ბრძოლაა. კორეტის ტყის სამხრეთ მიდამოები ფრანგებმა დასცალეს და გერმანელებს ჩაუვარდა ხელთ.

—

ზემო ელზასში საარტილერიო ბრძოლაა.

—

ავოკურის და „304“ მაღლობის მიდამოებში გერმანელებმა ყველა ყალიბის ზარბაზნები აამუშავეს.

—

იტალიის ასპარეზზე ასტიკოსა და პოზინოს შუა ბრძოლა გრძელდება. იტალიელებმა დასცალეს: პრიაფორის მთა და კორბინის მიდამოები.

## დ ე პ ე შ ა

ბათომი, 18 მაისი (სასწრაფო).

(საკუთარი კორესპ.)

### აჭარელთა საქმე.

**სასამართლომ თავის განაჩენი ააგო 108 მუხლის მესამე პუნქტზე. 43 ბრალდებულს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. აქედან სამის გარდა, დანარჩენების შესახებ სასამართლო შეწყალებას შუამდგომლობს კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე. 5 ბრალდებულს კატორღა მიესაჯა. 32 ბრალდებული უდანაშაულოდ იცვნეს.**

ვ. გ.

—

სასამართლომ შუამდგომლობის აღუძვრელად **სიკვდილით დასჯა** გადაუწყვიტა შემდეგ აჭარლებს: ფაუტ-ბეგ სეფერ-ბეგ ათაბეგოვს (ველიდან) დაუდ, აფიდ-ოღლის (თავზეთიდან), ბურან მუსტაფა-ოღლის (ვანთიდან), **უვადო კატორღა:** მუსა-ბეგ ფუატ-ბეგ ათაბეგოვს, შუამდგომლობის აღუძვრელად. **სიკვდილით დასჯა** გადაუწყვიტეს შემდეგ პირებს, რომელთა შესახებ შუამდგომლობა აღიძვრება: ფუათ-ბეგ ათაბეგოვს (სოფ. ველიდან), ჰუსეინ-ოტელ-ოღლი (სხდომბნიდან), ასლან-ბეგ ათაბეგოვს, ალი-აღა ოზის-ოღლის (მონთიდან), რუშტი სებრი ოღლის (სათაელი), შამილ შაქირ-ოღლის (სამჯელიდან), მუზეფერ დურსუნ-ოღლის (იქიდანვე), ვეხირ მამო-ოღლის (კუჩეკიდან), ოსმან ალი-ოღლის, (იქიდანვე), ზია მაჰმად-ოღლის (კუჩენიდან), ჰამზა უსეინ-ოღლის (იქიდანვე), აფიზ მოლაც ხალილ-ოღლის (მერიადან), მაჰმად საიდ-ოღლის (სხლობიდან), ჯედო ეფეტ-ოღლის, (კუჩენიდან), ისკანდერ მოლა ემინ-ოღლის (ველიდან), რიზა ქუჩუკ-ოღლის (კუჩენიდან), სულო ჰუსეინ-ოღლის (იქიდანვე), ასლან არიფ-ოღლის (მამანელისიდან) კაია კუკული-ოღლის (იქიდანვე), რამიზ სულეიმან-ოღლის (კუჩენიდან), ისმაილ ელიულ-ოღლის (ბოლვანედან), მაჰმუდ ისმაილ-ოღლის, რიზა ალი ეზის-ოლის (ტბეთიდან), შევქეთ მურ-ოღლის (ქ. ართვინიდან), ჩიჩეკ ბილალ-ოღლის (სოფ. ციხისძირიდან), ემინ სულეიმან-ოღლი გოგიტ-ოღლის, (ართვინიდან), ყადირ ჩიხმაოღლის (იქიდანვე), ალი ქიამილ-ოღლის (ხოტინიდან), ჰასან ყურიბამ-ოღლის (ართვინიდან), ქიამილ სულეიმან თოთოლ-ოღლის, (იქიდანვე), დურსუნ მენთეშ-ოღლის (ჰოროსეტიდან) შევქეთ მუსტაფა-ოღლის (მურღუმლიდან), შუქრი მემედ-ოღლი ბადალ-ოღლის (ს. სარფიდან), ასლან-ბეგ მამედ-ბეგ ოღლი ათაბეგოვს, ზაბით არიფ-ოღლის, ურფან დურსუნ-ოღლის, კედი ჰუსეინ-ოღლის, სალახ კარაბეგ-ოღლი ფუტკარიძეს, ჩიჩაკ ბილალ-ოღლის, მუზეფერ დურსუ[...] [...]ლან დაუდ-ოღლის.

4 წლის კატორღა შუამდგომლობის აღუძვრელად: მოლა ალიფერად ოღლის, ალი-ეფენდი კადიელ-ოღლის.

ნება ეძლევა მოლა დაუდ მუსტაფა ოღლის პატიებით შემცირებანეს 4 წლის კატორღა.

გაამართლეს შემდეგნი: ჯემალ-ბეგ ათაბეგოვი (სხოლბანიდან), მემედ ბეგ ათაბეგოვი (იქიდ.), ყადი ვეკიფი ეფენდი ჰუსეინ ეფენდი ოღლი ხმიაძე, (იქიდ.) ძოლა ქიამილ მურად ოღლი, (ველიდან), მოლა მაჰმუდ სალო ოღლი (ქვათეთრისიდან), შაგი იზეთ ოღლი (იქიდ.), ისკანდერ ტიფალ-ოღლი (ციხლობანიდან), სალიმ-ბეგ ჰაჯიბეგ ოღლი (ქვათეთრისიდან), მურთაზ ოსმან ოღლი (ტბეთიდან), ჰაფიზ დურსუნ ოღლი (იქიდ.), მოლა სერი შერინ ოღლი (ციხძირიდან), ნადიმ ქიამილ ოღლი (იქიდ.), ოსმან იუსუფ ოღლი (მერიადან), ნური ოსმან ყურბან ოღლი (იქ), აჰმედ ბეგ-ოღლი (იქ.), ყადირ აღა ესეთ ოღლი (ტბეთიდან), მუსტაფა სულეიმან ოღლი (დაბაწვრილიდან), ასლან ბეირი ოღლი (სხლობანიდან), ოსმან სულო ოღლი (იქიდ.), მოლა კარანი მამუდ ოღლი (ბოლვანედან), მოსოა მოლა მევლიუდ ოღლი (მამაწმინდიდან), მუსტაფ იუსუფ ოღლი (ქლიადან), ქარებექ აჰმედ ოღლი (ბოსელთიდან), მევლიუდ ყადი ოღლი (ბოგადან), ახმედ მენთეშ ოღლი (პოროსეთიდან), მუჰიბ მუსტაფა ოღლი (ბაშვეიდან), ომარე შერიფ ოღლი, მუზდინ შექირ ოღლი, ასლან სულეიმან სული ოღლი, ვეისელ ალი ოღლი (სულესიდან), მუსა ბეგ ფუტ ბეგ ათაბეგოვი (სოფ. ველიდან).

## სომხების ყრილობა

### პეტროგრადში 11 მაისს.

სექციების მუშაობა გუშინ საღამოს დაიწყო და დღესაც გრძელდება. მთელი მუშაობა სომხურ ენაზედ სწარმოებს და მხოლოდ ზოგიერთნი ლაპარაკობენ რუსულად, რადგან სომხური არ იციან.

### სასოფლო-სამეურნეო სექცია.

ეკონომიურ და სასოფლო-სამეურნეო სექციის შეერთებულ სხდომაზედ ორი მოხსენება წაიკითხეს: ერევნელ დელეგატის **სოგომონიანცისა** და ვანელ დელეგატის **ტერჯიბაშიანცისა;** ორივე მოხსენება შეეხებოდა სომხების ეკონომიურ ცხოვრების აღორძინებას რუსეთის მიერ დაპყრობილ ადგილებში.

პირველის მოხსენებაში განხილული იყო სომხების სასოფლო-სამეურნე წარმოება, მეორეს კი განხილული ჰქონდა ვაჭრობა-მრეწველობა.

მომხსენებლებმა საშინელი ფერადებით დაასურათეს გადმოხვეწილთა აუტანელი ცხოვრების პირობები, რომლის გაუმჯობესებაც—მომხსენებელთა აზრით, პირდაპირი ვალია, როგორც რუსეთის მთავრობისა, ისე სომხების საზოგადო დაწესებულებათა. მათის რწმუნებით 200 ათასი გადმოხვეწილი სომეხი გლეხი მოეფინა ამიერ კავკასიას, ყარსის ოლქს, ერევან-განჯის გუბერნიას და ხელ გაწვდილნი ელიან დახმარებას. აუცილებლათ საჭიროა ჩქარი და დაუყონებლივი დახმარება, რომ შესაძლებელი იქნეს აღდგენა მათი აწიოკებული მამულისა.

მომხსენებლების ანგარიშით დასახმარებლად თითო სულზედ გამოღებულ უნდა იქნას არა ნაკლებ 150 მ. რაც გადმოხვეწილთა საერთო რიცხვის მიხედვით 30 მილიონ მანეთს შეადგენს. მთავარ კომიტეტთან აუცილებლათ უნდა დაარსდეს სასოფლო-სამეურნეო სექცია, რომელსაც დაევალება კრების დადგენილებების სისრულეში მოყვანა.

გამოითქვა სურვილი, რომ დაარსდეს კოოპერატივები და სხვა დამხმარე საზოგადოებანი, რომ გადმოხვეწილთ მიაწოდონ სათესლე. კრებამ საჭიროთ სცნო, ფართო დახმარება აღმოუჩინოს აგრეთვე ვაჭრებს და მსხვილ მემამულეთ, რომელნიც ამ ომში დაზარალდნენ. მათ სესხის საქმეში არავითარი დაბრკოლება არ უნდა ეღობებოდეს წინ.

### იურიდიული სექცია.

**დეპ. აჯემოვის** თავმჯდომარეობით განხილული იყო ის გარდუვალი დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ეღობებიან გადმოხვეწილთ რუსეთის კანონების უცოდინართ და საჭიროდ სცნეს დაარსდეს პეტროგრადში მთავარი საკონსულტაციო ბიურო დახმარების აღმოსაჩენათ და აგრეთვე გადმოხვეწილთა მთავარ პუნქტებზედ.

მომხსენებელი **ჩალხუშიანი** შეეხო გადმოხვეწილთა თავის მამულებში უფლებრივ აღდგენას.

ყველაზედ გაურკვეველი საკითხი

მისი სიტყვით—არის სწორეთ ეს საკითხი, რომლის შესახებ ყოველი იურისტი თავისებურათ მსჯელობს და არსებით მხარეს კი ყველანი გვერდს უხვევენ. 1905 წლიდგან ოსმალეთში მოქმედობს კანონი, რომლის ძალით მთავრობა ძალათ არომევს სომხებს მიწებს და ხაზინის ქონებად გადააქვს. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა მემამულენი განზრახ გადაასახლეს, რათა მათი მიწები თათრებს ჩაეგდოთ ხელში. საჭიროა ეს მიწები კვლავ სომხებს დაუბრუნდეს და იმ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი მემკვიდრეები არ აღმოჩნდებიან, სომხების ეკლესიას გადასცენ.

**სასკოლო სექციაში.**

სომხების ეტნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის **ლალაიანის** თავმჯდომარეობით განხილულ იქმნა ორი მოხსენება: **რაშმაჯანიანის** (გუშმარიდან) და **თადევოსიანისა** (მოსკოვიდან). პირველის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გადმოხვეწილ ბავშვთა რიცხვი 100 ათას აღემატება. 39% ამ რიცხვიდან 17 წლისაა. სულ სასკოლო ჰასაკისა 55 ათასია, ხოლო სკოლებში მხოლოთ 8 ათასია მიბარებული:

აურებელი რიცხვი ბავშვებისა აუტანელ პირობების გამო ჭკუაზედ შესცდნენ და საავათმყოფოებში არიან მოთავსებულნი. ბატონ თადევოსიანის აზრით, აუცილებლად საჭიროა ეხლავე დაარსდეს საბავშვო თავშესაფარები, რადგან ეს აუარებელი რიცხვი გადმოხვეწილ ბავშვთა უსაქმოდ დაეხეტება და ცუდ პირობებში იმყოფებიან.

თავშესაფარები უსათუოდ ამიერ კავკასიაში უნდა მოეწყოს, რადგან მათი დაბრუნება ძველ ადგილებზედ ყოვლად მოუხერხებელია, უმეტესი ნაწილი 20,000, უკვე აღწერილი ბავშვი, ობლებად დარჩა და მხოლოდ ომის გათავების შემდეგ შესაძლებელი გახდება მათი დაბრუნება სომხეთში.

**საექიმო-სანიტარულ** სექციაში **პრ. ვართანოვის** თავმჯდომარეობით, **ექ. ბაბალიანი** ახასიათებს ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების მოღვაწეებს და დიდი მადლობით იხსენიებს ყველა მომუშავეთ და განსაკუთრებით ა. ი. ხატისოვს, რომლებმაც არაფერი არ დაზოგეს, რომ დროზე მიეწოდებიათ დახმარება და ყოველი მათი თხოვნა სომეხ გადმოხვეწილთა საჭიროებისათვის დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

**საორგანიზაციო საკითხები.**

ყველაზედ უფრო ცოცხალი და მომქმედი ეს სექცია გამოდგა. უმთავრესმა საკითხმა, რომელიც დღის წესრიგში იყო შეტანილი ცენტრალურ ორგანოს დაარსების შესახებ, დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა, რომ საჭიროა პეტროგრადში დაარსდეს ცენტრალური კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგება გადმოხვეწილთა საქმეს.

პეტროგრადში დაარსების მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ თუ დაარსდა ისევ აქ უნდა დაარსდეს, რადგან მთავრობის ახლოს იქნება და ყველა შუამდგომლობის დაკმაყოფილება ადვილად მოხერხდებაო. მეორენი კი კომიტეტის პეტროგრადში არსებობას უნაყოფოდ სთვლიდნენ, რადგან ადგილობრივ საქმეს მოშორებულთ შეძლება არ ექნებათ გაუძღვენ ასეთ ფართო ორგანიზაციას. კრება ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდა და ამოირჩიეს ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა გადასჭრას ეს საკითხი, გამოთქმულ აზრთა თანახმად.

კომისიაში არჩეულ იქმნენ: **პაპაჯანოვი, ჯივილეგოვი, არამი და ამიროვი.**

საერთო კრება მოხდება დღეს საღამოთი, რომელსაც მოხსენდება სექციათა მუშაობის ნაყოფი.

ლ. ჯაფარიძე.

პეტროგრადი, 11 მაისი.

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება სურათები: „დედა“, სოლომონ მეფის ძეგლი და მისი წარწერა, ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირი, გურული ქალი, შარჟი ალ. სუმბათაშვილზე, კარიკატურები და სხვა. ხალხური ლექსები. „სახელოვანი“ მოთხრობა მელანიასი.**

# ახალი ამბავი

**თ-დ კ. ა. ბაგრატიონ მუხრან ბატონის** წლის წირვა და პანაშვიდი დღეს 21 მაისსაა დანიშნული მცხეთის საპატრიარქო ტაძარში. მწირველია ეგზარხოსი და გორის ეპისკოპოსი ანტონი.

**სახალხო ხეირნობამ**, რომელიც ხარფუხის კლუბში გაიმართა 19 მაისს და რომლის წმინდა შემოსავალი დანიშნული იყო ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების სასარგებლოდ, კარგად ჩაიარა. აუარებელი ხალხი მიაწყდა კლუბს და ყველანი ნასიამოვნები დაბრუნდნენ. საერთოდ შემოსავალი 1,500 მანეთამდე იქნება.

**შიო მღვიმელის დილა.** ხვალინდელ „დილაში“ ყველა მონაწილე ბავშვები (გარდა გუნდებისა) უნდა გამოცხადდნენ დღეს, 21 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე ახალ კლუბის დარბაზში, საცა გაიმართება უკანასკნელი რეპეტიცია. დილის გამმართველი კომისიის თავმჯდომარე სთხოვს კომისიის ყველა წევრებს დაესწრნენ ხსენებულს რეპეტიციას 22 მაისს მოსალოდნელ შრომის გასანაწილებლად.

**კონცერტი.** ახალ კლუბის საზაფხულო სადგომში ამ თვის დამლევს მოსკოვის ფილარმონიულ საზოგადოების სასწავლებელში კურს დამთავრებული **ვასილ ეგნატეს ძე შარაშიძე** გაჰმართავს კონცერტს.

**ამაღლება დღეს** 19 მაისს საქართველოს ეგზარხოსმა ამაღლების ეკლესიაში სწირა. წირვას მრავალი მლოცველი დაესწრო.

**ახალი ბანკი.** გუშინ, 20 მაისს, გძელდებოდა ფულების მიღება კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისაგან. რადგან აუარებელი ხალხი გამოცხადდა და ერთი (ვოლგა-კამის ბანკი) ვერ ასწრებდა ფულის მიღებას, მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა განკარგულება მოახდინა ფული შეეტანათ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ბანკში. დადგენილ იქმნა ფულის მიღება გაგრძელდეს ორივე ბანკში კიდევ სამი დღით. ქალაქ თბილისში ორჯელ მეტი ფული შემოვიდა, ვინემ წინად იყო ხელმოწერილი. აგრეთვე მოლოდინისათვის გადაუჭარბებია პროვინციებსაც.

**ალ. ი. სუმბათაშვილის** თანადასწრებით, ოთხშაბათს 18 მაისს, ახალ კლუბის დარბაზში ქართულ დრამატიულ საზოგადოების არა ჩვეულებრივი კრება შესდგა. კრების თავმჯდომარეთ თვით ძვირფასი სტუმარი ბრძანდებოდა, რომელსაც მიესალმნენ სიტყვით თ-დი ნ. დ. ერისთავი, შ. ვ. ალექსი მესხიშვილი და ვალ გუნია. მათ შემდეგ სიტყვით მიმართა კრებას თვით ბ-ნ სუმბათაშვილმა. კრებაზე ერთხმად გადაწყდა ვალ. გუნიას გამართოს იუბილე, რომლის გასამართად საგანგებო კომიტეტი იქმნეს არჩეული. კრების შემდეგ გაიმართა ვახშამი რომელსაც 100 სულზე მეტი კაცი და ქალი დაესწრო. თამადათ თ-დი გრ. ნ. დიასამიძე აირჩიეს. ვახშამზე მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა. ვახშამმა დილის $5^1/_2$ საათამდე გასტანა, რომლის შემდეგ მთელმა იქ დამსწრე საზოგადოებამ ძვირფასი სტუმარი თვის ბინამდე გააცილა, სასტუმრო „პალას ოტელში“. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

**რედაქციამ მიიღო** იასონ კერესელიძის სახალხო გამოცემა № 13 სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობანი. ფასი 12 კ.

**როგორც მკითხველებმა** იციან სამსა და ოთხს თიბათვეს სახალხო სახლში წარმოდგენილ იქნება შალვა დადიანის რეჟისორობით სანდრო შანშიაშვილის ხუთ მოქმედებიანი დრამა გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან **„უგვირგვინო მეფენი“**. ქართველი მხატვრები და არტისტები ეს ორი კვირა მუშაობას შეუდგნენ. მთავარ რეპეტიციებს დაესწრებიან ჩვენი დამსახურებული მოღვაწენი და თეატრის ხელოვნების მცოდნე პირნი. წარმოდგენის მეთაურნი სცდილობენ შესაფერისად იქმნეს დადგმული, რათა დეკორაციები და კოსტიუმები გიორგი სააკაძის ხანის ილიუზიას ჰქმნიდეს. მთავარ როლებს ასრულებენ: ვ. გამყრელიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ელ. ანდრონიკაშვილი და სხვა ჩვენი დამსახურებული მსახიობნი.

**თუშების გასაჭირი.** როგორც ვიცით, ამ რამდენიმე ხნის წინად თუშების საგანგებო დეპუტაცია ჩამოვიდა თბილისში და მეფის ნაცვალს თხოვნით მიმართა, რომ ქისტების მტაცებლობა-ძალადობისაგან დაგვიხსენითო. მისმა უმაღლესობამ, მეფის ნაცვალმა, მფარველობა აღუთქვა თუშებს და დეპუტაცია უკანვე დაბრუნდა. მაგრამ როგორც ეტყობა, ზოგიერთ ცუდი ყოფა-ქცევის ქისტებზე არაფერს არ აქვს გავლენა, ისინი ისევ განაგრძობენ მტაცებლობას. მაგალითად, როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ამ რამდენიმე დღის წინად ალაზნის თავში, საძოვარზე, კაცებო კუნაშვილის ბინიდან 500 თოხლი გაუტაცნიათ ქისტებს.

# გაზ. „საქართველოს“-ს კანტორისაგან

## საჭიროა გაზეთის აგენტები

**ყველა დაბა-სოფლებში. მსურველთ მიჰმართონ „საქართველოს“ კანტორას (თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 4. სახლი გაბაშვილისა)**

**საპედაგოგიო ლექციები.** სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროს თაოსნობით 5 თიბათვიდან თბილისში გაიმართება საპედაგოგიო ლექციები სახალხო მასწავლებელთათვის. 6 ლექციის წაკითხვის თანხმობა განაცხადა ბ-ნმა დ. უზნაძემ. აგრეთვე ლექციებს წაიკითხავენ: 1) რუსეთის ლიტერატურის შესახებ თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორი ბ-ნი დუბროვსკი, 2) სკოლის გარეშე აღზრდის შესახებ—გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი როზინოვი, 3) თავისუფალ აღზრდის შესახებ—მოსკოვიდან საგანგებოდ მოწვეული ბ-ნი გარბუნოვი და 4) პეტროგრადიდან საგანგებოდ მოწვეული ბ-ნი ზოლოტარიოვი წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ომი და მასწავლებლობა“.

**კვირას,** 22 მაისს, თბილისის ქართულ გიმნაზიასთან არსებულ **მშობელთა წრის დელეგატთა კრებაა** დანიშნული. განსახილველია საგულისხმო საკითხები. საბჭოს წევრებს და დელეგატებს სთხოვენ კრებას დაესწრნენ.

**მომხმარებელი კოოპერატივები.** თბილისის გუბერნიაში არსებობს 91 მომხმარებელი საზოგადოება, ბათომის ოლქში 7 და ქუთაისის გუბერნიაში 163. გარდა ამისა ქუთაისის გუბერნიაში 37 საზოგადოება დღე-დღეზე ელის მთავრობის ნებართვას მოქმედების დაწყების შესახებ. ამ რიგად საქართველოში დღეს არსებობს 261 კოოპერატივი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იქნება 298. ერევნის გუბერნიაში არსებობს 22, განჯისაში 30 ბაქოსაში 1, შავი ზღვისაში 23, ყარსის ოლქში 3 და დაღესტნისაში 5, სულ 84. ამ ანგარიშით საქართველოს კოოპერატივები 214-ით მეტია ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ კოოპერატივებზე.

**ქალთა სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი.** 19 მაისს კრება ჰქონდა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. კრებაზე მიწვეული იყვნენ და კიდევაც დაესწრნენ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწე დამხმარე საზოგადოების გამგე კომიტეტის წევრები. კრებას უნდა განეხილა საკითხი შესახებ იმისა, თუ რა ნაირი უნდა იყვეს პროგრამა ქალთა საშუალო სამეურნეო სასწავლებლის. მოხსენება წაიკითხეს ამ საგნის შესახებ პ. გ. მამრაძემ, ა. კ. კორინთელმა. საკითხის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ, კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: რადგან საშუალო სამეურნეო სასწავლებლის პირველ მოწყობას დასჭირდება არა ნაკლებ 100 ათასი მანეთისა, ხოლო ყოველ წლიურ ხარჯად არა ნაკლებ 90 ათასი მანეთისა და ამოდენა თანხის შოვნა დღევანდელს პირობებში შეუძლებელია ჩვენთვის, ამიტომ კრება შესაძლებლად სცნობს გაიხსნას მომავალში სპეციალური 2—3 წლიანი სამეურნეო კურსები ანუ კლასები, სადაც, როგორც ქართულ გიმნაზიაში კურს დამთავრებულებს, აგრეთვე სხვა სასწავლებლებიდან გამოსულ ქალებს, შეეძლებათ პრაქტიკულად შეისწავლონ მეურნეობის ერთი ანუ რამდენიმე დარგი, მაგალითად, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა და სხვ.

**რედაქციამ მიიღო** იასონ კერესელიძის გამოცემული ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინა“. წიგნაკს წამძღვარებული აქვს ვაჟას ბიოგრაფიული ცნობები და ღირს ორ შაურად წიგნაკი 24 გვერდიანია.

**ხარჯთ აღრიცხვის განხილვა.** დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. საყურადღებოა საბალოსნო სასწავლებლის ხარჯთ აღრიცხვა, რადგან ამ სკოლას დეფიციტი მოელის წლეულს.

**ქუთაისი.**

ქუთაისის თავ.-აზნ. წინამძღოლმა შემდეგი უმაღლესი დეპეშა მიიღო:

„გულწრფელად ვმადლობ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, ლოცვისა, ერთგულებისა და ძვირფასი სამშობლოს სასარგებლოდ სამსახურის სურვილისათვის“.

**ნიკოლოზ.**

მეფის ნაცვლისაგან:

„გულითად ვმადლობ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას სალამისა და კეთილი სურვილისათვის, რომელმაც ფრიად მასიამოვნა. დიდად მოხარული ვარ, ქართველი თავად-აზნაურობა სავსებით იზიარებს აზრს კავკასიის ყველა ერთა მეგობრული ერთობის აუცილებლობისას, მის შემოქმედებითი ძალების ასაყვავებლად მთელი ადგილობრივი ხალხის საკეთილდღეოდ. გულწრფელად ვუსურვებ აზნაურთა ჩვეულებრივ კრებას ყველა საკითხის სათანადო გარკვევას“.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

**ქვემო ქიზიყი.**

რამდენიმე ხანია წვიმები დაიწყო.

— გამოღმა მხარეში თამბაქოს მოსავალს არა უშავს რა, ხოლო გაღმა ჩითილი ერთიანად გაფუჭდა.

— შემოსულ ქერებს სთიბავენ, რადგან ჩიტი სჭამს.

— ვენახებს ნაცარი ეხლავე ეტყობა.

— ბოქაულ შაქრო გურამიშვილის ნაცვლად მაჩხაანის რაიონის ბოქაულად გადმოიყვანეს მიხეილ ნასიძე.

# „ღალატი“ და მსახიობი ჯენტლმენი

(დასასრული. იხ. „საქართ.“ № 111).

მეორე მოქმედებაში სულ სხვაა ბ. იუჟინი. არც ერთი ზედმეტი თვალის დახამხამებაც კი; ყველაფერი გაზომილი, ყველაფერი ზომიერი. თავის ფიზიკას განაგებდა სრულებით თავისუფლად, მარტივად. საკვირველია ბ. იუჟინი უფრო მესამე მოქმედების. მეორე ნახევარში. მე უფრო ეს მოქმედება მაინტერესებდა. მაინტერესებდა იმიტომ, რომ ოთარ ბეგის მდგომარეობა აქ მეტად სახიფათო და სერიოზულია. მოქმედების მეორე ნახევრიდან ოთარი უბრალო მოწამეა, უსიტყვო ობიექტია თამარის მონოლოგებისა. სამაგიეროდ ბოლოს როგორც ფსიხოლოგიურად ისევე მხატვრულად მოქმედების მთავარი ფიგურაა. ამ დროს მე მომაგონდა ბ. გუნია. აი სწორედ აქ კოჭლობს ჩვენი მსახიობი, სამაგიეროდ ბ. იუჟინი გვიჩვენებს მთელ ხრომატიულ გამას გრძნობისა, ამასთანავე ამ გრძნობას განიცდის მთელი სხეულით თითქოს უძრავად. ასე მიდიან იმ დიდებულ სურათთან, რომელიც ყოველთვის ქართველ ადამიანის გულსა ჰკოდამს.

გამოჩნდა ბესო. ოთარბეგი-იუჟინი ხმალზე ხელს იტაცებს, ნახევრად კიდევაც იღებს. შემდეგ? თამარის შემდეგ ისიც საბას ჯვარს ემთხვევა. სურათი კვდება იმიტომ, რომ ოთარბეგი-იუჟინის სულის აღმოფრენა აქ არ სჩანს. ეს ადგილი კი დრამის უკიდურესი წერტილია. სულ სხვაა სამაგიეროთ აქ. გუნია.

საბა ბერის დანახვაზედ ხმალს იშიშვლებს. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან ეშინიან რომ ახლა დედოფალს არა ევნოს რა. მაგრამ ხედავს ჯვარს. ხედავს თამარის საქციელს. მონა, თავის რჯულის წამბილწველი იტანჯვის ამ სანახაობით. იგი იბუზება, პირს იბრუნებს, მარჯვენა ხელით ხმალზედ ეყრდნობა და შემდეგ უტრიალებს საბას ნელა, თანდათან წელში გაშლით. გაბედა. ხმალს აგდებს სწრაფად ქუდს, საშინელ სამარცხვინო ქუდს იხდის, იწერს პირჯვარს შიშით, მოკრძალეით, შემდეგ ეცემა მუხლის თავებზედ საშინელის კვნესით, გრგვინვით. „ქეშმარიტათ“ გვესმის ყველას და ამ ხმაში ვრწმუნდებით ჩვენც მსმენელნიც რომ ოთარი ინანიებს თავის ღალატს სამშობლოსადმი გულწრფელად. დიდებულია აქ გუნია.

ეს ვერ შექმნა აქ. ბ. იუჟინმა. სამაგიეროდ მისი ოთარბეგი უკანასკნელ მოქმედებაში მართლაც სამაგალითოა. მთელი თავის არსებობით ის შეთქმულობის შვილია. ყველაფერი მასში იმას გიკარნახებს, რომ მალე ძალიან მალე დაინგრევა ამ საშინელ კაცის მონობის ბორკილები. ამას თითქოს თვით სულეიმანიც გრძნობს, გრძნობს ოთარბეგი-იუჟინი სიარულში, სახეში, მთელს მის მოძრაობაში. იუჟინში მოკვდა მონა, დაიბადა ძველი გმირი. სამაგალითო იყო სურათი, როდესაც ოთარბეგი გასვლის დროს ტერასიდან ახალის გმირულ განზრახვით სულეიმანს გადახედავს; სულეიმანმა იგრძნო, ვერ მოითმინა და თანაც გაჰყვა ტერასამდე. ამის შემდეგ ჰაერი გურჯისტანის ბრძანებლისათვის უფრო იკუმშება.

თავ. სუმბათაშვილი ნამდვილი ჯენტლმენი მსახიობია. ჯენტლმენია მიტომ, რომ საშინელი ზომიერი შემოქმედია სახიობაში. არც ერთი ზედმეტი განძრახვა, არც ერთი უბრალო მოუფიქრებელი ნაბიჯი, ყველგან დიდებული პროპორციით აქვს განაწილებული გრძნობათა და ფორმათა შესისხლხორცება. ყოველთვის მარტივია და დამთავრებულია მისი მიერ შექმნილი სურათი. ბ. იუჟინი კლასიკია ნამდვილი არისტოკრატი ფორმებში. რუსეთის სცენაზეც იგი ღვიძლი შვილია კარატიგინისა. როგორც უკანასკნელი, იუჟინიც სცენაზე ჰქმნის ჰიმნს ფორმის და პლასტიკისა.

არც დრო და ალაგი ნებას არ მაძლევს დაწვრილებით შევეხო ბ. იუჟინს, როგორც მსახიობს. ამას ჯერჯერობით შემდეგისათვის გადავდებ. მეტად სამართლიანი და დაკვირვებული გამოდგა ქ-ნ ლევშინას რუქაის განმარტება. მე პირველად ვხედავ, ასეთ რუქაის. როგორც რუსულ ისევე ქართულ სცენაზეც. რუქაი—მონა—რუქაი გელი.

ლევშინა მთელი თვის სხეულით ამას განიცდის. თვით სიარული, პირველივე გამოსვლა ცხად ჰყოფდა, თუ ვინ არის რუქაია და ან რას მოიქმედებს. შიშისაგან თრთის, მაგრამ ისეთი მძლავრია, რომ არაფრის წინაშე არ გაჩერდება ოღონდ თავის საწადელს მიაღწიოს. აღსანიშნავია ის რომ სცენაზეც ლევშინა ჰქმნის პლასტიურ დრამას—თითქო ბალეტს. პირველ მის გამოსვლაში მე ნათლად ვხედავდი ბალეტის pas ოდნავ ორნაირ jeté სიარულში.

ეს კი დიდი სინამდვილეა. მეოთხე მოქმედებაში ქ-ნი ლევშინა ცრუ დრამატიზმში გადავიდა და ამით მეტად ძლიერ შესუსტა შთაბეჭდილება.

გაიანე—პიანტკოვსკისა უკეთესია ვიდრე რომელიმე ჩვენმა მსახიობმა შექმნა. პატარა, ჯერ ისევე ბოვშვი, გულუბრყვილო ნამდვილი ბუნების შვილი, ფთხრიალა ჩიტი. ქ-ნმა პიანტკოვსკისამ ოთართან წმინდა პლასტიკური ფიგურაცია მოგვცა. დიდებული პოზა მიიღო, როდესაც მამას მარცხენა მუხლზედ დაუჯდა.

დანარჩენებზედ აღარაფერს ვიტყვი, ვინაიდან ყოველივე მათგანი ქმნიდნენ თავისებურად, რუსულად. მე მინდა მხოლოდ ბ. წუწუნავაზედ შევჩერდე. იმის შემდეგ რაც მე ვნახე სახაზინო თეატრში მისი რეჟისორობით „ღალატი“, არა გზით არ შემიძლიან. ვაპატიო ზოგადი შეცდომები. არ ვაპატიებ მიტომ, რომ ბ. წუწუნავა მართლაც მშვენიერი გემოვნების და მასთან დაკვირვებული რეჟისორი ყოფილა. მე პირველად ვხედავ მის ხელმძღვანელობით წარმოდგენას. მართალია ბევრი გამეგო მის მუშაობაზედ, მაგრამ მე, როგორც ურწმუნო თომას, არ მჯეროდა. ახლა კი მეც დავრწმუნდი. ბ. წუწუნავას ეტყობა, რომ სცენის ტეხნიკა ძალიან კარგად იცის. სცენა მეორე პლანის და რამპას შუა მთელი მოქმედება გადმოაქვს ისეთი გაბედულობით, რომ სცენიური სიმეტრია სრულებით არ ირღვევა. ამასთანავე მიზანსცენებში იგი სრულიად სამართლიანად და მარტივად ანაწილებს ფერადების კონტრასტს და ილუზიათა კონტურებს. არ ეპატიება მხოლოდ ისეთ გვარ სინათლის განაწილება სცენაზედ, როგორიც მას სახაზინო თეატრში ჰქონდა. სინათლეს სცენაზე ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს,, რომ შეიძლება სულ უბრალო შეცდომამ მთელი სურათი მოსპოს. ამასთანავე ბ. წუწუნავას ნაკლებ ყურადღება მიუქცევია დრამას რიტმზედ. ღალატში კი ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი მოქმედების და მეხუთე მოქმედების პირველ ნახევრის რიგში სულ სხვაგვარია, ვიდრე დანარჩენებისა. აქ თვითეული პოზა გაზომილია და მასთანვე თავისებური ტონის და გუნების მომცემი უნდა იყვეს. სამაგიეროდ მეოთხე მოქმედებაში უფრო გაბედული, უფრო მარტივი და ცოცხალი. ყველა ეს დეფექტები მაინც არ მიშლიან სიამოვნებით ვაღიარო, რომ ქართულ სცენას მართლაც ყოლია ნამდვილი, საქმის მცოდნე და მოყვარული რეჟისორი ბ. წუწუნავა.

ალექსანდრე ახმეტელი.

# აკაკის ბიბლიოგრაფია

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დავალებით ბ-მა **ს. გორგაძემ** ამ დღეებში დაამთავრა და საზოგადოების საბჭოს გადასცა **აკაკის ნაწარმოებთა სრული ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიის შედგენის დროს ავტორს ხელთა ჰქონია:** 500-მდე [illegible] აკაკი წერეთლისა, [illegible] გამოცემა (ჟურნალ „ცისკრიდან“ დაწყებული—გაზეთ „საქართველო“-მდე), 10-მდე ალმანახი და სახელმძღვანელო, და 30-მდე აკაკის თხზულებათა ცალკე გამოცემა. ამ წყაროებით სარგებლობის დროს გამორკვეულია რომ აკაკის ჰქონია შემდეგი ფსევდონიმები: **ს—ლი, წ., იმერელი, ალექსანდრე სამარიძე, Z, გაჩჩილიძე, ლეონ ვამეხის ძე დადიანი, სხვიტორელი, ვერ მიცანი ნიაიო, გიორგი ქართველიშვილი და ჩოხოხანი.**

ბიბლიოგრაფიაში შეტანილია როგორც ქართული ისე რუსული ნაწერები უკვდავის პოეტისა.

ბიბლიოგრაფია ორ ნაწილად განიყოფა: 1) „ქრონოლოგიური სია“ და 2) „ანბანური საძიებელი“. პირველს უჭირავს 250 გვერდი დიდი თაბახისა, ხოლო მეორეს 60-მდე გვერდი იმავე ფორმატისა.

ქრონოლოგიურ სიაში 1500-მდე ნომერია მოთავსებული, რომელთა შორის ზოგიერთი ნომერი რამოდენსამე ნაწარმოებს შეიცავს (მაგალითად № 1308 **«მოსწრებული სიტყვა-პასუხი»** 61-ს ნაწარმოებს შეიცავს, წვრილწვრილი ამბები“ 16 ნაწარმოებს და სხვანი); ეს ნაწარმოებნიც რომ ცალცალკე ვიანგარიშოთ, აკაკის თხზულებათა საერთო რიცხვი ამ ბიბლიოგრაფიაში 2000-სს გადააჭარბებს. ამათში, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, 500-მდე ნაწარმოები ავტოგრაფადაა დარჩენილი რომელთა ერთი ნაწილი, თითქმის ნახევარი, დღემდე დაუბეჭდავია.

როგორც ბიბლიოგრაფიიდან ჩანს, აკაკის შემოქმედება ფრიად ადრე დაწყებულა: სახელდობრ მგოსანი ექვსიშვიდი წლისა ყოფილა როცა შაირების გამოთქმა დაუწყია (1846 წ.), შვიდი მისი შაირი ამ ბიბლიოგრაფიაშიაცაა აღნიშნული. აკაკის პირველი თარიღიანი ლექსი დედა-მისს შეეხება (აკროსტიხი—„ეკატირინე“) და 1852 წელს არის დაწერილი, ე. ი. როცა ავტორი თორმეტის წლისა ყოფილა [1]. პირველი მისი ნაბეჭდი ნაწარმოები ლერმონტოვიდან ნათარგმნი **„რტო პალესტინისა“** დათარიღებულია 1858 წლის 9 აგვისტოს რიცხვით და დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში“ 1858 წ. № 11, ხელს აწერს ფსევდონიმით **„ს—ლი“**. უკანასკნელი მისი ნაწარმოებია **„ომი“** რომლის წერის დროსაც ავტორს დამბლა მოუვიდა (1914 წ.). ეს ნაწარმოები ჯერ არ დაბეჭდილა.

ბიბლიოგრაფიაში დაწვრილებით ნაჩვენებია როგორც ნაწარმოებთა ავტოგრაფები, ისე დრო და ადგილი დაბეჭდვისა და თუ რამდენჯერ დაბეჭდილა ნაწარმოები.

როგორც გადმოგვცეს, ამ ბიბლიოგრაფიას „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“ აკაკის თხზულებათა სრული გამოცემის ბოლოს დაჰბეჭდავს (ცალკე ტომად). მანამდის კი მსურველთ შეუძლიათ თვით „საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში ისარგებლონ ამ ბიბლიოგრაფიით.

# პირველი საფილოსოფოსო თხზულება ქართულ ენაზე

ჩვენი ძველი მწერლობის შესწავლის საქმე თანდათან წინ მიდის. მრავალი საყურადღებო ძეგლი იბეჭდება და მზადდება დასაბეჭდად.

როგორც ამ დღეებში დანამდვილებათ გავიგეთ, ეგზარხოსის პლატონის ნებართვით, „საეკლესიო მუზეუმის“ გამგე კომიტეტს გადაუწყვეტია გამოსცეს პირველი საფილოსოფოსო თხზულება ქართულს ენაზე, სახელდობრ მე-XI-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში **ეფრემ მცირის** მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი **«დიალექტიკა»** (=«თავნი საფილოსოფოსონი») იოვანე დამასკელისა.

«დიალექტიკა»-ს საშუალო საუკუნეებში, როგორც მოგეხსენებათ, **ლოღიკას** ეძახოდნენ და ჩვენში ფილოსოფიის ეს დარგი ცნობილი ყოფილა **«კატეღორიის»** სახელით. მართლაც ზემოდასახელებული თხზულება დამასკელისა დამყარებულია უმთავრესად არისტოტელის „კატეღორიებსა“ და პორფირი-ფილოსოფოსის „შეყვანილებაზე“.

გამოცემას დაერთვის საფილოსოფოსო ტერმინების ლექსიკონი.

გამოცემის რედაქტორობა მინდობილი აქვს კომიტეტის წევრს **ს. რ. გორგაძეს**, რომელმაც, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ორი წლის წინედ იმავე საეკლესიო მუზეუმის საფასით გამოსცა ცნობილის ქართველი ფილოსოფოსის **იოვანე პეტრიწის**

[1] ეს ლექსი და შაირები დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ 1904 წელს.

(ეფრემ მცირის მოწაფის) მიერ ნათარგმნი თხზულება ნემესიოსისა: **„ბუნებისათჳს კაცისა“**. დღეს კი, როგორცა სჩანს, ბ-ნს გორგაძეს უტვირთნია პეტრიწის მასწავლებლის ეფრემ მცირის ნაშრომის გამოცემა.

რედაქცია სიამოვნებით აღნიშნავს საეკლესიო მუზეუმის ამ ნაბიჯს.

## ქართული წიგნის საქმე!

ქართულს წიგნს გამომცემელი—როგორც გვესმის ეს სიტყვა თავისი ფართო მნიშვნელობით—არა ჰყავს და ბეჭვდენ წიგნს, ასე ვსთქვათ, მოხალისე გამომცემელნი. წიგნის გამოცემას ეწევა ყველა ჯურის მოხელე—სამხედრო პირი, ექიმი, ვექილი, მსახიობი ჟურნალისტი, მასწავლებელი და მრავალი სხვანი... ბეჭვდენ წიგნს თითქმის ქველ-მოქმედობის მიზნით. ასე რომ ნამდვილი გამომცემელი ქართული წიგნისა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დღეს ჩვენში არ არსებობს და ეს კი ძალიან აბრკოლებს წიგნის გავრცელებას ხალხში.

დაგჭირდათ და გინდათ შეიძინოთ წასაკითხათ, ან-არა-და წიგნის მოვაჭრე ხართ და გინდათ შეიძინოთ გასასყიდათ რომელიმე წიგნი; ახლა ბიჭობა იმაშია გაიგოთ—ვინ გამოსცა ესა თუ ის წიგნი. ვსთქვათ მიაგენით კვალს და გაიგეთ, რომ ამა-და-ამ კაცმა გამოსცა შენთვის საჭირო წიგნი, მაგრამ ამ წიგნის შოვნა ჯერ კიდევ შორს არის ასე ადვილად ვერ ჩაიგდებთ ხელში. მისი გამომცემელი თუ ექიმია და მიხვედით მასთან წიგნის შესახებ სალაპარაკოდ, რომ მოგყიდოთ, მას კი არა სცალიან, არ მიგიღებთ; ავადმყოფებს სინჯავს, „რეცეპტებსა“ სწერს, ერთი სიტყვით თავის მოვალეობას ასრულებს და შენთვის ვერ მოიცლის. თუ წიგნი მსახიობის გამოცემულია, ვერც ამას ჩაიგდებთ თავის დროზე ხელში, ისიც მაშინ ან რეპეტიციაზეა, ან სადმეა წასული „გასტროლებზე“; თუ გამომცემელი რომელიმე ვექილია, ან მეწაღე, ისიც ასევე თავის საკუთარს საქმეს თავს ვერ ართმევს და მსურველი კი წიგნს თავის დროზე რაკი ვერ იძენს, იმის შეძენის სურვილი ეკარგება. ხშირად ასეთი მოხალისე გამომცემელნი ბინას რომ იცვლიან, არ აცხადებენ სად გადადიან და მათი გამოცემული წიგნის შოვნა ყოვლად შეუძლებელი ხდება.

ვსთქვათ მოხალისე გამომცემელი ნახეთ და სთხოვეთ გამოცემული წიგნი მოგყიდოთ, ან მოგცეთ საკომისიოდ გასასყიდად. იშვიათად მოხდება, რომ გამომცემელმა თხოვნა შეგისრულოთ და მიიღებთ პასუხს: „აი მოვიცლი, მოვძებნი და ვიპოვნი თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნი, ვგონებ აღარც კი უნდა მქონდეს“. ამ პასუხის შემდეგ ხართ მოლოდინში რამდენიმე დღე. კარგია თუ რამდენიმე დღის შემდეგ მოგივიდათ წიგნი, ზოგჯერ არავითარი პასუხი არ მოგდით და ხართ მოლოდინში. ხშირად ტყუილადაც ელოდებით: მას წიგნები ან ვერ უპოვნია, ან არა და სრულიადაც დავიწყებია მოძებნა. ხშირად ქართული წიგნების მაღაზიას უსაყვედურებენ: რა არის, რა უბედურებაა, რუსეთიდგან წიგნები კიდეც მოგვივიდა და თქვენგან კი, აი აქა ხართ და აქამომდე არა მოგვდის რა. მართალნი არიან. დაგჭირდათ რომელიმე რუსული წიგნი; ახლა უნდა გაიგოთ ვინ არის რუსეთში წიგნების გამომცემელი. ვსთქვათ—სიტინი მოსკოვში. მას მისწერეთ თუ არა გამოგზავნონ რომელივე წიგნი, თქვენ მალე მიიღებთ გადაჭრილს პასუხს. ეს მათი მოვალეობაა, როგორც წიგნის გამომცემლის, ყურადღებით იყოს და მუშტარი ჩქარა დააკმაყოფილოს: ან წიგნი გაუგზავნოს, თუ არა და აცნობოს, რომ შეკვეთილი წიგნი მასთან არ იშოვება. ჩვენში წიგნის გამოცემის საქმე რომ ვერ არის მოწყობილი, შემოკითხული წიგნის შესახებ გადაჭრით პასუხს—იშოვება ესა თუ ის წიგნი თუ არა თავის დროზე მუშტარს ვერ აცნობებ.

მღვდლის მიერ გამოცემულს წიგნის შოვნა. როცა გინდა ყოვლად შეუძლებელია მისი წიგნის გამომცემელი მოძღვარი (თბილისში) ან წირვათ სდგას როცა მიხვალ მასთან წიგნის სასყიდლად, ან არა და რომელიმე სასწავლებელში გაკვეთილები აქვს და იქ არის წასული. ასე ამ გვარად ქართული წიგნის მაღაზია ორ წყალ შუაა, არ იცის შემოკვეთილი წიგნის შესახებ რა შეუთვალოს მუშტარს—იშოვნის წიგნს თუ ვერ იშოვნის და პასუხი უგვიანდება.

ქართული წიგნის მოხალისე გამომცემლებს ამითი საყვედური კი არ მინდა მოვახსენო. ღმერთმა დამიფაროს! პირ-იქით დიდი მადლობის ღირსნიც არიან. რაოდენი დროცა აქვთ, მოცალეობა და გარემოება ნებას აძლევთ, იმის კვალობით იქცევიან.

ასეა, ამ მდგომარეობაშია წიგნის საქმე. დღეს მას ჩვენში გამომცემელი არა ჰყავს და ეს ხომ უდიდესი ნაკლია, უაიმისოდ წიგნის გავრცელება ხალხში ძნელია. იქნება ვინმემ გაკვირვებითა სთქვას: ქ. შ. წ. კ. საზოგადოება! ბევრსა ჰგონია ყოველი წიგნი, რაც კი ქართულად დაიწერება, ამ საზოგადოებამ უნდა გამოსცესო. შემცდარი აზრი გახლავს. მისი მოვალეობაა წერა კითხვის გავრცელება ხალხში და ამისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა. მაგრამ წ. კ. საზოგადოება მაინც ბეჭდავს ხოლმე საყმაწვილო და სახალხო წიგნებსაც, რამდენადაც მას გარემოება ხელს უწყობს. წიგნების გამომცემლობას, როგორც გვეყურება ეს სიტყვა ფართო მნიშვნელობით, ქ. შ. წ. კ. საზოგადოება ვერ იკისრებს, თუ არ ასცდება თავის დანიშნულებას.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკანასკნელს ხანებში წიგნის მკითხველობამ შესამჩნევად იმატა და ამან აშკარად დაგვანახვა საჭიროება წიგნის გამოცემის რიგიანად დაყენებისა.

დიახ, ვახარებ ქართველობას: წიგნის მოთხოვნილება დღითი დღე მატულობს და ეს გარემოება ბეჯითად და მედგრად იხმობს წიგნის გამომცემელს სრულის ამ სიტყვის მნიშვნელობით. ეს აუცილებლად საჭიროა.

ამას წინ. დ გაზ. „საქართველოში“ წავიკითხეთ, რომ არსდება ქართული წიგნის გამომცემლობა „საქართველო“. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ამბავმა დიდად გაგვახარა. მოუთმენლად ველით „საქართველოს“ გამომცემლობამ დაიწყოს თავისი საქმიანობა. ველით.

**ივანე გ. ავალიშვილი**

## მცირე შენიშვნები

მიფერდებაზე გადაშწვანებული სოფელი შორიდან კარგი შესახედავი იყო; შემოღობილი მოდიდო ეზოები, შიგ ხშირი ბუხრიანი სახლები, ვენახები, ხეხილი, ბოსტნები, ნათესი. ქვის გუმბათიანი ეკლესია იქაურობას აგვირგვინებდა.

შევედი სოფელში. გული დამწყდა: საოცარი ოღრო-ჩოღრო, მრუდე გზები, ღობეები შეუვალი, მაგრამ რამოდენი ხე ტყე და შრომა იყო დახარჯული და დაკარგული! ეზოში გადვიხედე: ბაი-ბური არ ისმოდა. ერთი მოხუცი შემომაჩერდა: ყველა შვილები წაიყვანეს... თეთრი ნათალი ქვით დიდებულად აშენებულ ეკლესიის გალავანში გაცოდვილებული ხის სახლი იდგა დაფლეთილი და დაჩონჩილი. პატარა ბიჭუნები ერთი მეორესთან მიხუჭულიყვნენ და უხალისო და უსიცოცხლო მასწავლებლის რაღცათ მუსაიფს ყურს უგდებდენ. დახშული ჰაერი იყო და ბნელოდა იმ პატარა ოთახში. მალე ჩვენი ბიჭუნები და გოგუცანები გარეთ გამოცვივდენ, ფეხშიშველა, დაგამხდრები. რომ დაიწყეს ხტომა თამაში და სირბილი ცოტა გულზე მომეშვა: სიცოცხლით აღივსენ, მათი სიმკვირცხლე, მოსწრება და მოხერხება მათ მომავალზე მითითებენ.

მერე ასეთი შკოლა, ასეთი გზები? გავიფიქრე. შკოლითა და გზებით განიზომება წინ სვლა და ნივთიერი წარმატებაც...

**კ. ბერეკაშვილი.**

## დაბა-სოფლები

**ფშავეთის ამბები.** როგორც ყველგან, ფშავეშიდაც შეაერთეს ორი საზოგადოება შუაფხოსი და მაღაროსკარისა. ამ ორ საზოგადოებას უპირებენ საშუალ ადგილზე „სასოფლო სამმართველოს“ აშენებას. რომ იტყვიან „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ასე მოხდა; ამ ორ საზოგადოებას რჩება მზა მზარეულად ორ-ორ სართულიანი ქვითკირის შენობა, რომელიც სკოლისთვის საუკეთესო იქნება. ფშავ-ხევსურეთი ხომ სკოლებს ვერ ეღირსა და დღეს კარგად მოეწყო საქმე, თუ აქაც „უმოქმედობას“ არ გამოიჩენს „ქრისტიანობის აღ. საზოგადოება“ და მისი მოხელეები. საჭიროა ხსენებულმა, „საზოგადოებამ“ და სამაზრო სკოლების მეთვალყურემ მოახდინონ განკარგულება, ეს შენობები თავის განკარგულებაში გადაიტანონ, მერე შეუდგნენ სკოლისთვის საჭირო ნივთების შეძენას და ენკენისთვიდან ფშავეთში ორი სკოლა გვექნება: შუაფხოში და მაღაროს-კარში. ეს შენობები აგებულია ხალხის ფულით და სკოლებიც ხომ ხალხსავე სჭირდება. არა მგონია რომელიმე მოხელე წინააღმდეგი გამოვიდეს, რომ ეს შენობები ხალხმა სკოლისთვის გამოიყენოს.

როგორც გავიგე ბატონ ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავალს ბარათოვს გადაუწყვეტია, სანამ ახალი ბინა აშენდებოდეს, მანამდის საქმის წარმოება მაღაროს კარის საზოგადოების სამმართველოში სწარმოებდეს. რამდენათ მართალია ეს ჯერ არ ვიცით—მხოლოდ ყოველ შემთხვევაში ურჩევთ ბატონ ბარათოვს, რომ შეერთებული საზოგადოების სამმართველო დროებით მოათავსოს „ხომის ძირში“ იქ თავისუფალი შენობები იშოვება ამით ის ხელს შეუწყობს ერთის მხრით იმას, რომ შუაფხოს საზოგადოებას არ დასტანჯავს 40 ვერსზე სიარულით (მაგ. სოფ, ელიავზიდან) და მეორე მხრით მაღაროს-კარში შენობა გათავისუფლდება და ენკენისთვიდან იქ სწავლა გაჩაღდება. ბ-ნი ბარათოვი კარგად ჰხედავს ფშავ-ხევსურეთის ჩამორჩენას; ისიც კარგად იცის, რომ ამ კუთხეში ყოველ მრევლში სკოლების გახსნას დაჰპირდნენ ვითომც ფულიც გადადვეს, მაგრამ „საეპარქიო საბჭომ“ საქმეს მსვლელობა არ მისცა და დღემდის სანუგეშოს ვერას ვხედავთ მაშ ნუთუ იგი ხელს არ შეუწყობს ამ მივარდნილ მხარეში სკოლების გახსნას?

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი ბარათოვი „სამართველოს“ დროებით „ხომის-ძირში“ მოათავსებს და ამ ორ შენობას გაათავისუფლებს, რითაც ხელს შეუწყობს ხალხის დაწინაურებასა და კეთილდღეობას.

**ფ. სხვიტორელი**

## თეატრი და ხელოვნება

**ურიის სისხლი.** ოთხშაბათს 1 ივნისს სახალხო სახლში ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ბერნშტეინის სახელ განთქმული პიესა „ურიის სისხლი.“ მთავარ როლს აგნესას შეასრულებს ქ-ნი ნ. დავითაშვილი. ტიბოს ი. ზარდალიშვილი. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

## შემოწირულება

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის რედაქციამ მიიღო:**

ნატალია გიგაური-გაბაევ-გაბაონელისაგან 5 მანეთი. ლევან ალიბეგაშვილისაგან 1 მან., ნიკოლოზ დავითიშვილისაგან 1 მან., შიო ალიბეგიშვილისაგან 1 მან., ილიკო ქრიკაშვილისგან 1 მანეთი. კოტე ივანეს ძე მეზვრიშვილისაგან 1 მან. 30 კაპ., ივანე გიორგის ძე კოკილოვისაგან 50 კ. იოსებ ლუარსაბის ძე ჩიტაძისაგან 50 კ., შალვა გიორგის ძე ზულიაშვილისაგან 30 კ. კოლა ილიას ძე ჯანიაშვილისაგან 20 კ. ჭალელისაგან 20 კ. გიორგი და მოსე ალექსის ძე ხელაშვილებისაგან 5 მან., ესტატე ნიკოლოზის ძე ხორბალაძესაგან 5 მ., იმკოუ ხიდეშელისაგან 2 მან. სულ 24 მანეთი.

## წერილი რედ. მიმართ

ქართველ ქალთა სემინარიის დამხმარე კომიტეტმა მიიღო ქ. გორიდან 1 მაისს (თამარის დღის) გამართულ საღამოს წმინდა შემოსავალი 480 მ. კომიტეტი დიდს მადლობას უძღვნის საღამოს დიასახლისს კნ. ანნა ალექსანდრეს ასულს ამილახვრისას, აგრეთვე საღამოს მოთავეთ ქ-ნ სალომე ბერეჟიანს, ქ-ნ ანნა ხახუტოვს და ყველა მათ ვინც ამ საღამოს ხელი შეუწყეს.

პატივცემულო ბ. რედაქტორო! თქვენი პატივცემული გაზ. „საქართველოს“ ... ამბავთა შორის ქ. თელავიდან მოთავსებულია პატარა ცნობა 1 მაისის დღესასწაულის შესახებ თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში.

საჭიროდ ვრაცხ განვმარტო, რომ უცხო კაცის სასწავლებელში მოწვევა რაიმე სამოსწავლებლო ანუ აღმზრდელ საქმისათვის დამოკიდებულია არა რომელიმე მასწავლებელზედ, არამედ სასწავლებლის უფროსზედ, რაიც მოხდა თელავის სასწავლებელში, და თუ რად არ დართო ნება სასწავლებლის უფროსმა სხვას ემეცადინა (ელოტბარნა) 5—6 დღით სასწავლებელში, ამას რასაკვირველია, თავისი მიზეზები ექნებოდა. ვისაც ძალიან ეინტერესება ამისი გაგება, შეუძლიან მიჰმართოს სასწავლებლის უფროსს.

რაიცა შეეხება მას, რომ თელავის ქალთა სასწავლებელი შესაფერისად პატივსა სცემს წმ. თამარს, რომ 1 მაისი სასწავლებელში (დაწყებული 1914 წლიდგან) აღნიშნული იყო ღირსეულად, ამას დაამტკიცებს მთელი სასწავლებელი. წელსაც 1 მაისს სასწავლებლის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა ნ. თამარის პარაკლისი ქართულად, რაზედაც დაესწრნენ მედღესასწაულეთა, ანუ „თამარების“ გარდა სხვა მოწაფენი და მასწავლებელნი; გალობდა ქართულად სასწავლებლის ქალთა მგალობელთა გუნდი. პარაკლისის შემდეგ მღვდელმა მიულოცა ქალებს ეს დღე (ქართულადვე) და უსურვა მათ, რომ შეეთვისებინათ მათაც დიდი თამარის ღირსებანი: მღვთისა, ეკლესიისა და მამულის სიყვარული, მოყვასის ნუგეშის ცემა და დაუღალავი შრომა.

შემდეგ პარაკლისისა სასწავლებელში მოწაფეთ მიიღეს მონაწილეობა საზოგადო დღესასწაულში.

სამღვთო სჯულის მასწავლ. მღვდ. **მიხ. ელიზბარაშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძეგველოვები
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**
## განყოფილება ავლაბარში
**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით, სა-**მრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„„მეშონჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, **ფარგა და** ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# განცხადება

## თბილისის სათავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკის

# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე-14 §-ის ძალით 1916 წ. ივნისში, ბანკის ბინაზე (თბილისი, ფრეილინის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურობის სახლი, № 11)

## საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

იმ ქვემოდმოხსენებულ პირთა მამულები, რომელთაც ბანკში გირავნობის შესატანი გარდასახადი არ შემოუტანიათ, ბანკის წესდების 12, 17, 27 28 და 35 §-ის მიხედვით 1916 წ. 1 ივნისიდან 1916 წ. 1 ივლისამდე

## გრძელვადიან სესხში დაგირავებული მამულების გასასყიდად საჯარო ვაჭრობა მოხდებ :

1. თბილისის მიდამოებსა და თვითონ თბილისში მდებარე მამულებისა—17 ივნისს 1916 წ.
2) სხვა ქალაქების და აგრედვე იმ მამულებისა, რომელთა გირავნობაშიაც ქალაქის მამულების სახით გაცემულია გრძელვადიანი სესხი—20 ივნისს 1916 წელს.
3) სოფლის მამულებისა რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელვადიანი ამ მოკლევადიანი სესხი და აგრედვე იმ ქალაქის მამულებისაც, რომელთა გირავნობითაც მოკლევადიანი სესხია გაცემული—1916 წ 22 ივნისს.

თუ პირველი საჯარო ვაჭრობა ვერ მოხდა ზემო აღნიშნულ დღეებში, მეორე და საბოლოო საჯარო ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში 1916 წ. 18 ივლისს.

თუ აღნიშნულ დროზე ვერ მოხდა საჯარო ვაჭრობა, მეორე და უკანასკნელი დღე ითვლება 8 ივლისს და მოხდება იმავე მმართველობაში, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად. ვაჭრობა გაგრძელდება შემდეგ დღეებშიაც, ვიდრე სრულად არ დამთავრდება.

თანახმად ბანკის წესდების მე-17 მუხლისა, საჯარო ვაჭრობა დაიწყება ქვემოდ აღნიშნულ მამულებზე დარჩენილ თავნი ვალიდან, ბანკში შესატან დარჩენილ გარდასახადებისა და აგრედვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო დარჩენილ გარდასახადების ზედმითვლით, რაც კი საჯარო ვაჭრობის დღეს მამულზე ირიცხება.

ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს იმ მამულებზე, რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელვადიანი სესხი და აგრედვე ის მოკლევადიანი სესხი, რომლის განაღდების ვადა ჯერ არ დამდგარა, ვალდებულია ნაღდ ფულად წარმოადგინოს მამულზე დარჩენილი გარდასახადი (ნედოიმკა) სრულად და აგრედვე სახელმწიფო, საერობო და საქალაქო გარდასახადების დარჩენილი თანხა, რაც კი საჯარო ვაჭრობის დღეს მამულზე ირიცხება მოკლევადიან სესხში დაგირავებულ მამულებზე კი, რომელთა თავნი ვალის განაღდების ვადა უკვე დამდგარა, მათ უნდა წარადგინონ ზემოხსენებულის თანხის გარდა, აგრედვე თავნი ვალის 10%

მამულის დასამტკიცებელი ხარჯი და აგრედვე საჯარო ვაჭრობის დროს წამატებული თანხა მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს საჯარო ვაჭრობის დღიდან 14 დღის განმავლობაში.

თავნი ვალი იმ მამულებისა, რომელთა გირავნობითაც გაცემულია გრძელვადიანი და აგრედვე მოკლევადიანი სესხი, რომლის განაღდების ვადა ჯერ არ დამდგარა, მყიდველმა თავის სახელზე უნდა გადაიტანოს, წინანდელის პატრონის ყოველგვარ ვალდებულებით. ხოლო მსყიდველმა მოკლევადიან სესხში დაგირავებულ მამულებისა, რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლევადიანი სესხი, რომლის განაღდების ვადა უკვე დამდგარა, უნდა წარმოადგინოს მთელი დარჩენილი თავნი ვალი ნაღდ ფულად საჯარო ვაჭრობის დღიდან 14 დღის განმავლობაში.

ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად მამულის პატრონს უფლება აქვს საჯარო ვაჭრობის დღეს გადასახადი ფული წარადგინოს ბანკში და მამული გაყიდვისაგან გაანთავისუფლოს.

ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, გასასყიდ მამულების შესახები ყოველგვარი საბუთების გადათვალიერება შეუძლიან ბანკის კანცელარიაში საქმის დროს

ამასთანავე ბანკის გამგეობა წინდაწინვე აცხადებს, რომ თუ საჯარო ვაჭრობით გასაყიდი მამულები იმავე მდგომარეობაში არ აღმოჩნდება ეხლა, როგორც პირველ აღწერილობაშია მოხსენებული ბანკი პასუხისმგებლობას არ კისრულობს.